

მსესხებლის გარდაცვალებით გამოწვეული სესხის დაუბრუნებლობის რისკის (მათ შორის, უბედური შემთხვევით გამოწვეული შრომისუნარიანობის) დაზღვევის
გენერალური ხელშეკრულება N BB/GEO/Life-001/21-სის
დანართი #2

სიცოცხლის დაზღვევის ზოგადი პირობები

1. **ტერმინთა განმარტება**
 - 1.1. **მზღვეველი** - სს „ზღ დაზღვევა“, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ეწევა სადაზღვევო საქმიანობას (საიდენტიფიკაციო #406232214);
 - 1.2. **დამზღვევი** - პირი, რომელიც აფორმებს სიცოცხლის საკრედიტო დაზღვევის ხელშეკრულებას მზღვეველთან;
 - 1.3. **დაზღვევის ობიექტი** - მსესხებლის სიცოცხლე;
 - 1.4. **მოსარგებლე** - პირი, რომელიც წინამდებარე პირობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება - **სს მისო ქართული კრედიტი** (საიდენტიფიკაციო კოდი: 206238800);
 - 1.5. **მსესხებელი** - ფიზიკური პირი, რომელსაც დამზღვევთან გაფორმებული აქვს საკრედიტო ხელშეკრულება და რომლის გარდაცვალებით გამოწვეული სესხის დაუბრუნებლობის რისკი და/ან შრომისუნარიანობის შეზღუდვა დაზღვეულია დამზღვევის მიერ.
 - 1.6. **ხელშეკრულება** - დაზღვევის ხელშეკრულების და მისი დანართ(ებ)ის პირობების და სადაზღვევო პოლისის ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ერთიან დაზღვევის ხელშეკრულებას და რომელიც ფორმდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის.
 - 1.7. **დაზღვევის პირობები** - დაზღვევის ხელშეკრულებაში და მის დანართებში მითითებული პირობები, რომლებიც განსაზღვრავს სადაზღვევო დაფარვის პირობებსა და მისი განხორციელების წესებს;
 - 1.8. **სადაზღვევო დაფარვა** - დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევები, რომელთა დადგომისას მზღვეველი ვალდებულია გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით;
 - 1.9. **დაზღვევის განაცხადი** - მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით დამზღვევის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ შევსებული და ხელმოწერილი განაცხადი, რომელშიც მითითებულია ყველა არსებითი ინფორმაცია, რაც საჭიროა კონკრეტული ქონების დაზღვევის მიზნებისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
 - 1.10. **სადაზღვევო პოლისი (შემდგომში „პოლისი“)** - დოკუმენტი, რომელსაც ფლობს დამზღვევი ხელშეკრულების საფუძველზე;
 - **სადაზღვევო თანხა/პასუხისმგებლობის ლიმიტი** - თანხის მაქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებშიც დადგენილია დამზღვევისთვის სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ამასთან, ხელშეკრულებითა და წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული დაზღვევისას. **მსესხებლის (ფიზიკური პირის) გარდაცვალებით გამოწვეული სესხის დაუბრუნებლობის რისკის დაზღვევისას** - მზღვეველის პასუხისმგებლობის ლიმიტი განისაზღვრება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის მომენტისთვის არსებული მსესხებლის მიმდინარე ვალდებულების ოდენობით (აღნიშნული თანხა არ მოიცავს პირგასამტეხლობებს/ჯარიმებს/პროცენტებს).
 - 1.11. **აგრეგირებული ლიმიტი** - ხელშეკრულებაში/პოლისში მითითებული თანხა, რომელიც წარმოადგენს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მზღვეველის მიერ გასაცემი ჯამური სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმუმს ხელშეკრულებაში მითითებული ყველა ან რომელიმე სადაზღვევო დაფარვისთვის.
 - 1.12. **სადაზღვევო ანაზღაურება** - თანხა, რომელიც მზღვეველისაგან ეკუთვნის დამზღვევს წინამდებარე პირობების საფუძველზე;
 - 1.13. **სადაზღვევო პრემია** - თანხა, რომელიც უნდა გადაუხადოს დამზღვევმა მზღვეველს დაზღვევის საფასურად - დაზღვევის ღირებულება.
 - 1.14. **სადაზღვევო შემთხვევა** - ხელშეკრულებითა და წინამდებარე პირობებით განსაზღვრული შემთხვევა, რომლის სადაზღვევო პერიოდში დადგომისას წარმოიშვება მზღვეველის ვალდებულება, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და რომელიც აღიარებულია მზღვეველის მიერ შედგენილი სადაზღვევო შემთხვევის აქტით;

- 1.15. **სადაზღვევო რისკი** – მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობის და შემთხვევითობის ნიშნებს და რომლის გამოც ხდება დაზღვევა. სადაზღვევო რისკები განისაზღვრება შესაბამისი სადაზღვევო პოლისით (ხელშეკრულებით);
- 1.16. **საერთო სადაზღვევო პერიოდი** - დროის შუალედი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევის ხელშეკრულება ძალაშია;
- 1.17. **ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდი** - დროის შუალედი, რომლის განმავლობაშიც კონკრეტული მსესხებლის დაზღვევა ძალაშია.
- 1.18. **ფორს-მაჟორი** - ბუნებრივი ხდომილებანი ან პოლიტიკური, სამხედრო, სამართლებრივი, შრომითი, სოციალური ან სხვა შესაბამისი გარემოება, რომლის თავიდან აცილება ან გადალახვა მხარე(ებ)ს არ შეუძლიათ და რომელიც მხარე(ებ)ის მიერ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულებას შეუძლებელს ხდის.
- 1.19. **სადაზღვევო შემთხვევის აქტი** - დამზღვევის/მოსარგებლის და მზღვეველის მიერ პოლისის პირობების შესაბამისად მხარეთა ორმხრივად შეთანხმებული და ხელმოწერილი დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა, მისი გაცემის ფორმა და წესი.
- 1.20. **გამომუშავებული სადაზღვევო პრემია** - სადაზღვევო პერიოდის შიგნით აღებული კონკრეტული თარიღისათვის ხელშეკრულების შესაბამისი გამომუშავებული პრემია წარმოადგენს სადაზღვევო პერიოდის შესაბამისი ჯამური სადაზღვევო პრემიის იმ ნაწილს, რა ნაწილსაც შეადგენს სადაზღვევო პერიოდის დაწყებიდან ზემოთაღნიშნულ კონკრეტულ თარიღამდე გასული დღეების რაოდენობა მთლიანი სადაზღვევო პერიოდის დღეებში გაზომილ ხანგრძლივობასთან მიმართებაში.
- 1.21. **გამომუშავებული სადაზღვევო პრემია** - სადაზღვევო პერიოდის შიგნით აღებული კონკრეტული თარიღისათვის ხელშეკრულების შესაბამისი გამომუშავებული სადაზღვევო პრემია წარმოადგენს სხვაობას ხელშეკრულების მთლიანი სადაზღვევო პერიოდის შესაბამისი ჯამურ სადაზღვევო პრემიასა და გამომუშავებულ სადაზღვევო პრემიას შორის.
- 1.22. **პრეტენზიის ფორმა** - დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის მიერ მზღვეველის მიმართ წერილობითი/ელექტრონული ფორმით გამოხატული უკმაყოფილება სადაზღვევო მომსახურების შესახებ. პრეტენზია მოიცავს, როგორც მოთხოვნას ინფორმაციის მიწოდების/მიუწოდებლობის შესახებ, ასევე ნებისმიერ სხვა სახელშეკრულებო მოთხოვნას, რომელიც გამომდინარეობს დაზღვევის ხელშეკრულებიდან.
- 1.23. **მოცდის პერიოდი** - პერიოდი, რომლის განმავლობაში დამდგარი/დიაგნოსტირებული კრიტიკული მდგომარეობებით/დაავადებებით გამოწვეული გარდაცვალება (მიუხედავად გარდაცვალების თარიღისა) არ დაექვემდებარება მზღვეველის მიერ ანაზღაურებას. წინამდებარე პირობების თანახმად მოცდის პერიოდი წარმოადგენს დაზღვევიდან 3 (სამი) კალენდარულ თვეს.
- 1.24. **კრიტიკული მდგომარეობები/დაავადებები** -
1. ინსულტი
 2. გულის შეტევა (ე.წ. ინფარქტი)
 3. მრავლობითი (მათ შორის, გაფანტული) სკლეროზი
 4. თირკმლის უკმარისობა
 5. შუნტირება
 6. ორგანოს გადანერგვა
 7. ავთვისებიანი სიმსივნე
- 1.25. **უზედური შემთხვევა** - გაუთვალისწინებელი, მოულოდნელი შემთხვევა, გამოწვეული თვალსაჩინო გარეგანი ძალების ზემოქმედებით, რომელიც განაპირობებს დაზღვეულის გარდაცვალებას ან შრომისუუნარობას;

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1. დაზღვევის ხელშეკრულება არეგულირებს ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშვება მზღვეველს, დამზღვევს, მსესხებელსა და მოსარგებლეს შორის ამ ხელშეკრულებით და მისი დანართ(ებ)ით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;
- 2.2. დაზღვევის ხელშეკრულების და მისი დანართ(ებ)ით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, მზღვეველი ვალდებულია, შესაბამისი სადაზღვევო პრემიის მიღების სანაცვლოდ, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას უზრუნველყოს მოსარგებლისთვის კონკრეტული დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა;

- 2.3. დაზღვევის შესახებ განაცხადი, (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;
- 2.4. დაზღვევას ექვემდებარება კონკრეტული მსესხებლის **გარდაცვალებით გამოწვეული სესხის დაუბრუნებლობის რისკი და/ან შრომისუნარიანობის შეზღუდვა.**
- 2.5. რომელიმე დაფარვის შეწყვეტის შემდეგ (მოიაზრება ისეთი შემთხვევა, როდესაც მსესხებელს კვლავ აქვს ვალდებულება დაზღვევის მიმართ, მაგრამ დამზღვევი წყვეტს დაზღვევას), მისი აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ მზღვეველის თანხმობის საფუძველზე.

3. მხარეთა უფლებები და მოვალეობები:

3.1. დამზღვევი ვალდებულია:

- 3.1.1. როგორც სადაზღვევო პოლისის მიღებამდე, ისე მისი მოქმედების ვადის განმავლობაში შეატყობინოს მზღვეველს მის ხელთ არსებული უტყუარი ინფორმაცია, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სადაზღვევო რისკის სახისა და ხარისხის განსაზღვრისთვის;
- 3.1.2. გადაიხადოს სადაზღვევო პრემია სადაზღვევო პოლისით/ხელშეკრულებით განსაზღვრულ ოდენობითა და ვადებში;
- 3.1.3. სადაზღვევო პოლისის მისაღებად წარუდგინოს მზღვეველს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული დოკუმენტები და ინფორმაცია;
- 3.1.4. შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით, დაზღვევის ხელშეკრულებითა და წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული სხვა შესაბამისი მოთხოვნები.

3.2. დამზღვევი უფლებამოსილია:

- 3.2.1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება ხელშეკრულებითა (პოლისით) და დაზღვევის პირობებით დადგენილი წესით;
- 3.2.2. მზღვეველთან შეთანხმებით, შეცვალოს დაზღვევის პირობები;

3.3. მზღვეველი ვალდებულია:

- 3.3.1. დაზღვევის დასადასტურებლად გასცეს შესაბამისი სადაზღვევო პოლისი;
- 3.3.2. კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, არ გაამჟღავნოს მონაცემები დამზღვევსა (დაზღვეულსა) და მის ქონებრივ მდგომარეობაზე; მათ შორის პერსონალურ მონაცემები.
- 3.3.3. შეადგინოს სადაზღვევო შემთხვევის აქტი და განსაზღვროს სადაზღვევო ანაზღაურების თანხა, დაზღვევის პირობებისა და სადაზღვევო ხელშეკრულების (პოლისის) შესაბამისად;
- 3.3.4. სადაზღვევო შემთხვევის გამოწვევი ყველა მიზეზის დადგენის, ასანაზღაურებელი თანხის ოდენობის განსაზღვრისა და სადაზღვევო შემთხვევის აქტის ხელმოწერიდან 30 დღის ვადაში მოახდინოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა;
- 3.3.5. ზარალის/შემთხვევის გამომწვევი ყველა გარემოების შესწავლისა და დადგენის შემდეგ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე უარის თქმის შემთხვევაში, შეატყობინოს დამზღვევს აღნიშნული ფაქტის შესახებ წერილობით, მიზეზის მითითებით;

3.4. მზღვეველი უფლებამოსილია:

- 3.4.1. თუ დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე ან მისი (მათი) სახელით მოქმედი პირი არ შეასრულებს მზღვეველის მოთხოვნებს, გაართულებს ან ხელს შეუშლის მზღვეველს დაზღვევის ხელშეკრულებით (პოლისით) განსაზღვრული უფლებამოსილების ან მზღვეველის საქმიანობის განხორციელებაში, მზღვეველი უფლებამოსილია მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოსთხოვოს დამზღვევს/დაზღვეულს მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურება.
- 3.4.2. არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დამზღვევის (დაზღვეულის) მიერ დაზღვევის პირობებით გათვალისწინებულ იმ ვალდებულებათა შეუსრულებლობისას, რაც აუცილებელია ანაზღაურების გასაცემად;
- 3.4.3. მოახდინოს ანაზღაურების გადავადება იმ შემთხვევაში თუ:
- ა) ტარდება დამოუკიდებელი ექსპერტიზა სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების, გარემოებების და ზარალის მოცულობის შესახებ. ამასთან, სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვადა იზრდება ექსპერტიზისათვის საჭირო დროის პერიოდით;
 - ბ) არსებობს საფუძვლიანი ეჭვი დამზღვევის/დაზღვეულის ან მოსარგებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლებამოსილებაში. სადაზღვევო ანაზღაურება არ გადაიხდება, ვიდრე არ იქნება წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები;
 - გ) შსს (შინაგან საქმეთა) ორგანოების მიერ დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე დაზღვეულის/მოსარგებლის მიმართ – გამოძიების დასრულებამდე;

- 3.4.4.** მიანიჭოს დამზღვევს (დაზღვეულს) შეღავათები ან/და გაათავისუფლოს იგი ვალდებულებისაგან, თუნდაც ამას არ ითვალისწინებდეს ან უგულებელყოფდეს წინამდებარე პირობები. სადაზღვევო პოლისით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხარეთა განსხვავებული ან/და დამატებითი უფლება-მოვალეობებიც.
- 3.4.5.** არ აანაზღაუროს ისეთი შემთხვევებით გამოწვეული ხარჯები, რომელიც არ არის გათვალისწინებული დაზღვევის ხელშეკრულებით და მისი დანართ(ებ)ით განსაზღვრული დაზღვევის პირობებით და/ან ხვდება გამონაკლისთა ნუსხაში;
- 3.4.6.** დამზღვევის მიერ სადაზღვეო პრემიის გადახდის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მოითხოვოს დამზღვევისგან, როგორც სადაზღვევო პრემია სრულად, ასევე, პირგასამტეხლო/ჯარიმა და მიუღებელი შემოსავალი.

თავი I - სიცოცხლის დაზღვევის არსებითი პირობები

1. სიცოცხლის დაზღვევა განხორციელდება შემდეგი წესით:

- 1.1.** დაზღვევას ექვემდებარება მხოლოდ 18 წლიდან 75 წლის ჩათვლის ასაკის მსესხებელი. ამასთან, თუ არსებული მსესხებლის ასაკი გარდაცვალების შემთხვევაში არ აღემატება 60 წელს, ასეთი მსესხებლის გარდაცვალებით გამოწვეული სესხის გადაუხდელობის რისკზე მზღვეველს მიერ გაიცემა სადაზღვევო ანაზღაურება ამ ხელშეკრულებითა და პირობებით გათვალისწინებული შესაბამისი გამონაკლისების და პირობების გათვალისწინებით.
- 1.2.** 61 წლიდან 75 წლის ჩათვლით ასაკის პირების დაზღვევა განხორციელდება მხოლოდ უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალების რისკზე (თუ კონკრეტულ მსესხებელთან/დაზღვეულთან მიმართებაში სხვა რამ არ იქნება შეთანხმებული).

2. სადაზღვევო დაფარვის, მომსახურების მიღებისა და ანაზღაურების გაცემის პირობები

- 2.1. სიცოცხლის დაზღვევა** – ითვალისწინებს ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მსესხებლის ნებისმიერი მიზეზით (მათ შორის, უბედური შემთხვევით გამოწვეული) გარდაცვალების შემთხვევაში (შესაბამისი გამონაკლისი შემთხვევების გარდა) მოსარგებლისათვის ფიქსირებული სადაზღვევო თანხის გადახდას (სადაზღვევო თანხა არ უნდა მოიცავდეს სესხზე დარიცხულ პროცენტს, ჯარიმას და/ან პირგასამტეხლოს და მზღვეველი არ არის ვალდებული ანაზღაუროს ასეთი თანხები). დაზღვეულის გაუჩინარება (უგზო-უკვლოდ დაკარგვა) არ მიიჩნევა გარდაცვალებად.
- 2.2.** სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მსესხებლის გარდაცვალების შემთხვევაში, მოსარგებლე ვალდებულია, დაუკავშირდეს 24 (ოცდაოთხი) საათიან ქოლ ცენტრს და შეტყობინება გააკეთოს სადაზღვევო შემთხვევის შესახებ არაუმეტეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღისა. ანაზღაურების მიღებაზე უფლებამოსილება დადასტურებული უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტებით:
- 2.2.1.** დაზღვეულის გარდაცვალების მოწმობა (რომელშიც მითითებული უნდა იყოს დაზღვეულის დაბადების და გარდაცვალების თარიღი, ასევე გარდაცვალების ადგილი და კანონმდებლობით დადგენილი სხვა ინფორმაცია);
- 2.2.2.** სამედიცინო ცნობა დაზღვეულის გარდაცვალების (სიკვდილის) შესახებ;
- 2.2.3.** შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ცნობა მომხდარის შესახებ; ექსპერტიზის დასკვნა გარდაცვალების მიზეზის შესახებ; თუ მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე – მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით გამოძიების ხელთ არსებული დოკუმენტაცია (საქმის მასალები);
- 2.3.** მზღვეველი უფლებამოსილია, მოითხოვოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადგენს დაზღვეულის გარდაცვალების მიზეზს, თუ დაზღვეულის გარდაცვალება გამოწვეულია არა უბედური შემთხვევით; უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალებისას ასეთი დოკუმენტის წარმოდგენა ერთმნიშვნელოვნად სავალდებულოა;
- 2.4.** კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკიდან გამომდინარე, **მზღვეველი** უფლებამოსილია, მოითხოვოს შემთხვევასთან დაკავშირებული დამატებითი დოკუმენტაცია.
- 2.5.** ანაზღაურება გაიცემა ყველა ზემოხსენებული დოკუმენტების მიღებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.

2.6. შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია არ განიხილოს სადაზღვევო შემთხვევა და უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.

3. გამონაკლისები

3.1. დაზღვევის ხელშეკრულების პირობების თანახმად, არ იფარება/არ ანაზღაურდება სიცოცხლის დაზღვევით გათვალისწინებული გარდაცვალების შემდეგი შემთხვევები:

3.1.1. თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა მსესხებლის ალკოჰოლური/ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნას; ან თუ მსესხებელი შემთხვევის დროს იმყოფებოდა ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ;

3.1.2. თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა მსესხებლის მიერ ჩადენილ თვითმკვლელობას ან თვითმკვლელობის მცდელობას, განზრახ თვითდაზიანებას;

3.1.3. თუ გარდაცვალება შედეგია მსესხებლის მკვლელობისა, რომლის პირდაპირ ან არაპირდაპირ, უშუალო ან არაუშუალო მონაწილედ გვევლინება მოსარგებლე ან ნებისმიერი პირი, რომელიც დაინტერესებულია გარდაცვალების გამო ანაზღაურების მიღებით;

3.1.4. თუ გარდაცვალება შედეგია მსესხებლის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ან ამგვარის მცდელობისა;

3.1.5. თუ გარდაცვალება შედეგია მსესხებლის მიერ საკუთარი ნებით ხიფათში თავის ჩაგდების, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი ეს ქმედება მიმართულია ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად;

3.1.6. თუ გარდაცვალება შედეგია მსესხებლის შიდსით დაავადების ან აივ-ით ინფიცირების;

3.1.7. თუ დაზღვევამდე დიაგნოსტირებულია რაიმე დაავადება (მათ შორის: ცე ჰეპატიტი, თირკმლის ან ღვიძლის უკმარისობა, დიაგნოსტირებული ავთვისებიანი სიმსივნე, სისტემური დაავადება), რომელიც გვევლინება გარდაცვალების მიზეზად;

3.1.8. დაზღვევა არ ვრცელდება პირებზე:

3.1.8.1. რომელთაც დაზღვევის ძალაში შესვლის მომენტში უტარდებათ სტაციონარული მკურნალობა ან რომელნიც საჭიროებენ მუდმივ მოვლას, ანუ სჭირდებათ დამხმარე ყოველდღიური საყოფაცხოვრებო აქტივობის შესასრულებლად.

3.1.8.2. როდესაც გარდაცვალების მიზეზი უცნობია (გარდა იმ სესხებისა, რომელთა ოდენობა/სადაზღვევო თანხა ნაკლებია 3,000.00 მ(სამი ათასი) ლარზე).

3.1.8.3. ომის ან ომის მსგავსი ოპერაციების დროს (გამოცხადებული და გამოუცხადებელი ომი),

3.1.8.4. ტერორისტული აქტების, მათ შორის, შეიარაღების გამოყენება, რაიმე სახის ასაფეთქებელი ან ბირთვული ხელსაწყოების აფეთქება, რაიმე მყარი, თხევადი ან აირიანი ქიმიური აგენტის ან/და ბიოლოგიური აგენტის ემისია, გამოყოფა, გაფრქვევა, გაშვება ან გაჟონვა, მათ შორის, ჰაერის ან მიწოდებული წყლის ან სურსათის მოწამვლა და შენობების და სატრანსპორტო საშუალებების განზრახ განადგურება. გამონაკლისი ვრცელდება ნებისმიერ ქმედებაზე, რომელიც განხორციელებულია ტერორისტული აქტის კონტროლის, ხელის შეშლის, ჩახშობის მიზნით, ან ასეთ აქტთან დაკავშირებულ სხვა მოქმედებებზე.

3.1.8.5. აქტიური მონაწილეობა ომში ან ომის მსგავს ოპერაციებში.

3.1.8.6. *მაიონიზებული რადიაციით* ან ბირთვული საწვავის რადიაციით ან ბირთვული საწვავის აალების შედეგად გამოყოფილი ბირთვული ნარჩენების ან ნებისმიერი ფეთქებადი ბირთვული მოწყობილობის ან ბირთვული კომპონენტის რადიოაქტიური, მომწამვლელი, ფეთქებადი ან სხვა სახიფათო თვისებების შედეგად დაზიანდობა.

3.1.8.7. ნებისმიერი ზარალი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია გამოძალით, გატაცებით და გამოსასყიდის გადახდით ან დაზღვეულის უკანონოდ დაკავებით ან ნებისმიერი საჰაერო ხომალდის, ავტომობილის, მატარებლის ან გემის გატაცებით, რომლითაც მგზავრობს დაზღვეული.

3.1.8.8. დაზღვეული პირის მონაწილეობა პროფესიონალურ, ექსტემალურ, ან/და რისკის შემცველ სპორტის სახეობებში (კლდეზე ცოცვა, ალპინიზმი, სპელეოლოგია, აერონავტიკა, პარაშუტით ხტომა, პარაგლაიდინგი, ჯომარდობა, წყალში ხტომა, ყვინთვა ან ცურვა სასუნთქი მოწყობილობით, დოდი, სპორტული რბოლა სწრაფი კატერებით, მანქანებით ან სხვა ძრავიანი საშუალებით, საბრძოლო ხელოვნება), როდესაც მონაწილეობა აღნიშნულ სახეობებში იწვევს დაზღვეული მოვლენის ხდომილებას.

3.1.8.9. კონკრეტული მსესხებლის დაზღვევიდან პირველი 3 (სამი) თვის განმავლობაში დამდგარი/დიაგნოსტირებული კრიტიკული მდგომარეობებით/დაავადებებით გამოწვეული გარდაცვალება (მიუხედავად გარდაცვალების თარიღისა).

4. სიცოცხლის დაზღვევის დაფარვის შეწყვეტა

4.1. მსესხებლის სიცოცხლის დაზღვევის დაფარვა შეწყდება:

- კონკრეტული სადაზღვევო პერიოდის დასრულებისას;
- როდესაც მსესხებელს შეუსრულდება 61 წელი, მისი სიცოცხლის დაზღვევა გრძელდება მხოლოდ უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალების რისკზე (სხვა მიზეზით გამოწვეული გარდაცვალების რისკზე, მსესხებლის სიცოცხლის დაზღვევა წყდება), ხოლო მას შემდეგ, რაც მსესხებელს შეუსრულდება 76 წელი, მსესხებლის სიცოცხლის დაზღვევა ითვლება სრულად შეწყვეტილად (წინამდებარე დანართის I თავის 1.1. და 1.2. ქვეპუნქტებში მითითებული წესისა და პირობების გათვალისწინებით.);
- მას შემდეგ, რაც მოხდება სესხის სრულად დაფარვა;
- თუ დამზღვევი აღარ იხდის პრემიას;
- მსესხებლის გარდაცვალების შემთხვევაში.

თავი II - უბედური შემთხვევით გამოწვეული შრომისუუნარობის დაზღვევა

1. სადაზღვევო დაფარვების, მომსახურების მიღებისა და ანაზღაურების გაცემის პირობები

1.1. **სრული მუდმივი შრომისუუნარობა** – ითვალისწინებს ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დაზღვეულის მხოლოდ უბედური შემთხვევით გამოწვეული სრული მუდმივი შრომისუუნარობის შემთხვევაში (შესაბამისი გამოწვევის შემთხვევების გარდა) დაზღვეულისათვის/მოსარგებლისათვის ფიქსირებული სადაზღვევო თანხის გადახდას.

1.1.1. სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დაზღვეულის უბედური შემთხვევის შედეგად შრომისუუნარობის სრული მუდმივი დაკარგვისას სავალდებულოა შეტყობინების გაკეთება მზღვეველის 24 (ოცდაოთხი) საათიან ქოლ ცენტრში სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარულ დღეში. მზღვეველისათვის სადაზღვევო შემთხვევის თაობაზე შეტყობინების განხორციელების შემდეგ მზღვეველს უნდა მიეწოდოს უბედური შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტები, კერძოდ, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ შედგენილი დოკუმენტი უბედური შემთხვევის გარემოებებისა და შედეგების ამსახველი დეტალების მითითებით. გარდა უბედური შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტისა, მზღვეველი უფლებამოსილია, მოსთხოვოს დაზღვეულს (მოსარგებელს) დამდგარ შემთხვევასთან დაკავშირებული დამატებითი დოკუმენტაცია. სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 12 (თორმეტი) თვის თავზე, მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევის აღიარების მიზნით, მზღვეველს უნდა წარედგინოს სრული მუდმივი შრომისუუნარობის დადგომის დამადასტურებელი დოკუმენტი, კერძოდ, სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის დასკვნა. ანაზღაურების მისაღებად ასევე საჭიროა წარმოდგენილ იქნას სადაზღვევო ბარათი, მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და წერილობითი განცხადება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის მოთხოვნის შესახებ;

1.1.2. მზღვეველი უფლებამოსილია, მოსთხოვოს დამზღვევს დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა და ჩაატაროს შესაბამისი დამოუკიდებელი ექსპერტიზა.

1.1.3. ანაზღაურება გაიცემა ზემოხსენებული დოკუმენტებისა და დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა აუცილებელი დოკუმენტების მზღვეველის მიერ მიღებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.

1.1.4. შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია, არ განიხილოს სადაზღვევო შემთხვევა და უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.

1.2. **ნაწილობრივი მუდმივი შრომისუუნარობა** – უშუალოდ უბედური შემთხვევით გამოწვეული კიდურებისა და შეგრძნებათა ორგანოების ფუნქციონალური პარალიზება და/ან ამპუტაცია; დაფარვა ითვალისწინებს უბედური შემთხვევით განპირობებული ნაწილობრივი მუდმივი შრომისუუნარობის დადგომის შემთხვევაში დაზღვეულისთვის სადაზღვევო თანხის იმ პროცენტული წილის ანაზღაურებას, რომელიც შესაბამისაა მისი შრომისუუნარობის ხარისხს მოყვანილი ცხრილის შესაბამისად:

- ერთი ხელის პარალიზება ან ამპუტაცია მხრის სახსრის ზედა მესამედში - 70%
- ერთი ხელის პარალიზება ან ამპუტაცია მხრის სახსრის ქვედა მესამედში - 65%

- ერთი ხელის პარალიზება ან ამპუტაცია იდაყვის სახსრის ქვემოთ- 60%
- ერთი ხელის მტევნის პარალიზება ან ამპუტაცია- 55%
- ერთი ცერა თითის პარალიზება ან ამპუტაცია - 20%
- ერთი საჩვენებელი თითის პარალიზება ან ამპუტაცია - 10%
- ერთი ხელის ნებისმიერი სხვა თითის პარალიზება ან ამპუტაცია- 5%
- ერთი ფეხის პარალიზება ან ამპუტაცია ბარძაყის ზედა მესამედში- 70%
- ერთი ფეხის პარალიზება ან ამპუტაცია ბარძაყის ქვედა მესამედში- 60%
- ერთი ფეხის მუხლს ქვედა პარალიზება ან ამპუტაცია- 50%
- ერთი ფეხის პარალიზება ან ამპუტაცია წვივის შუა მონაკვეთში- 45%
- ერთი ფეხის ტერფის პარალიზება ან ამპუტაცია- 40%
- ერთი ფეხის დიდი თითის პარალიზება ან ამპუტაცია - 5%
- ერთი ფეხის ნებისმიერი სხვა თითის პარალიზება ან ამპუტაცია - 2%
- მხედველობის ცალმხრივი სრული დაკარგვა - 50%
- სმენის ცალმხრივი სრული დაკარგვა - 30%
- ყნოსვის შეგრძნების დაკარგვა- 10%
- გემოს შეგრძნების დაკარგვა - 5%

- თუ **უბედურმა შემთხვევამ** გამოიწვია **დაზღვეულის** ზემოაღნიშნული შეგრძნების ორგანოებისა და/ან კიდურების ერთობლივი დაზიანება, მაშინ სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა შემოიფარგლება სადაზღვევო ლიმიტის (სადაზღვევო თანხის) 100% -ით.
- თუ დაზღვევის ხელშეკრულებით/პოლისით დაფარულია **უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალება** და **დაზღვეული** გარდაიცვალა უშუალოდ **უბედური შემთხვევით სადაზღვევო შემთხვევიდან** ერთი წლის განმავლობაში, მაშინ სადაზღვევო ანაზღაურება განისაზღვრება სრულ სადაზღვევო ანაზღაურებას გამოკლებული **მზღვეველის** მიერ უკვე ანაზღაურებული ზარალი.
- თუ **დაზღვეული** გარდაიცვალა **უბედური შემთხვევიდან** ერთი წლის განმავლობაში **დაზღვეული** რისკების გარდა სხვა მიზეზით ან გარდაიცვალა ნებისმიერი მიზეზით ერთი წლის შემდეგ და სარჩელი ჰქონდა შეტანილი სადაზღვევო კომპანიაში შრომისუნარიანობის დაკარგვაზე, ანაზღაურება განხორციელდება შრომისუნარიანობის დაკარგვის პირობებისა და მისი ხარისხის შესაბამისად, რომელიც მოსალოდნელი იყო არსებული სამედიცინო გამოკვლევების მიხედვით.

1.2.1. სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დაზღვეულის უბედური შემთხვევის შედეგად შრომისუნარიანობის ნაწილობრივი მუდმივი დაკარგვისას დაზღვეული/დამზღვევემა ვალდებულია, დაუკავშირდეს **მზღვეველის** 24 (ოცდაოთხი) საათიან ქოლ ცენტრს და შეტყობინება გააკეთოს **სადაზღვევო შემთხვევის** შესახებ **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომიდან არაუგვიანეს 35 (ოცდახუთმეტი) კალენდარული დღისა. ანაზღაურების მისაღებად წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია:

- 1.2.1.1.** სამედიცინო დასკვნა და სხვა მსგავსი დოკუმენტები **დაზღვეულის** ჯანმრთელობისათვის მიყენებული დაზიანების ხასიათისა და სიმძიმის ხარისხის ან მისი გარდაცვალების მიზეზის შესახებ. აგრეთვე **დაზღვეულის** ალკოჰოლურ, ნარკოტიკულ ან ტოქსიკურ ნივთიერებათა ზეგავლენის ქვეშ შესაძლო ყოფნის შესახებ ზიანის დადგომის მომენტისათვის;
- 1.2.1.2.** **მზღვეველის** მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისათვის, რასაც განსაზღვრავს **მზღვეველი** საჭიროების მიხედვით
- 1.2.1.3.** **პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;**
- 1.2.1.4.** **დაზღვეულის** წერილობითი განცხადება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის მოთხოვნის შესახებ;

2. გამონაკლისები

2.1. დაზღვევის ხელშეკრულების თანახმად, არ იფარება/არ ანაზღაურდება უბედური შემთხვევით გამოწვეული სრული მუდმივი და ნაწილობრივი მუდმივი შრომისუნარიანობის შემდეგი შემთხვევები:

- 2.1.1.** თუ შრომისუნარიანობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა ისეთ მოვლენებს, როგორიცაა ომი, დაპყრობა, ნებისმიერი სახის საომარი/სამხედრო მოქმედებები, სამოქალაქო ომი, აჯანყება, რევოლუცია, გაფიცვა, ხელისუფლების ნებისმიერი ორგანოს მიერ განხორციელებული კონფისკაცია ან ნაციონალიზაცია, ნებისმიერი პირის ქმედებები, რომელიც მოქმედებს რაიმე ორგანიზაციის დავალებით ან დამოუკიდებლად და მიზნად ისახავს დე იურე ან დე ფაქტო ხელისუფლების დამხობას ან მასზე ზეგავლენას ტერორისტული ან ძალისმიერი მეთოდებით;

- 2.1.2. თუ შრომისუუნარობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა ბირთვული ენერგიას (ბირთვული რეაქციები, დასხივება, დაბინძურება);
- 2.1.3. თუ შრომისუუნარობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა იონიზირებულ დასხივებას ან რადიოაქტივობით გამოწვეულ დაბინძურებას ნებისმიერი ბირთვული საწვავის ან მისი აალების შედეგად;
- 2.1.4. თუ შრომისუუნარობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა **დაზღვეულის** მონაწილეობას საზღვაო, სამხედრო ან საჰაერო ძალების სამსახურში ან ასეთის მოქმედებებში;
- 2.1.5. თუ შრომისუუნარობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა **დაზღვეულის** მონაწილეობის ნებისმიერი სახის სიჩქარეზე შეჯიბრში;
- 2.1.6. თუ შრომისუუნარობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა **დაზღვეულის** ყოფნას ნებისმიერ საფრენ საშუალებაში/ხომალდში, მასში შესვლას ან მისგან გამოსვლას, გარდა ლიცენზირებული მრავალძრავიანი საჰაერო ტრანსპორტით მგზავრობისა, რომელსაც ექსპლოატაციას უწევს ლიცენზირებული საჰაერო გადამზიდავი;
- 2.1.7. თუ შრომისუუნარობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა **დაზღვეულის** ფსიქიკურ ავადმყოფობას ან გონების დაბინდვას;
- 2.1.8. თუ შრომისუუნარობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა **დაზღვეულის** ალკოჰოლურ ან ნარკოტიკულ ინტოქსიკაციას, ან თუ შემთხვევა მოხდა **დაზღვეულის** ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის დროს;
- 2.1.9. თუ შრომისუუნარობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა **დაზღვეულის** ინფექციურ დაავადებას;
- 2.1.10. თუ შრომისუუნარობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა **დაზღვეულის** საკვებისმიერ ინტოქსიკაციას;
- 2.1.11. თუ შრომისუუნარობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა **დაზღვეულის** მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას ან ამგვარის მცდელობას.

განსაკუთრებული პირობა: წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულებისა და მისი დანართების საფუძველზე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში უბედური შემთხვევით გამოწვეული შრომისუუნარობის დაზღვევა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ 3 (სამი) მსესხებელთან მიმართებაში, რაზეც მზღვეველთან წინასწარ უნდა იქნას შეთანხმებული ყველა პირობა, რაც შესაბამისად აისახება სადაზღვევო პოლისში.

Приложение №2
к Генеральному договору N BB/GEO/Life-001/21
страхования риска невозврата кредита в связи со смертью заемщика (включая
нетрудоспособность в результате несчастного случая)

Общие условия страхования жизни

1. Определение терминов

1.1. **Страховщик** - АО «ББ Страхование», осуществляющее страховую деятельность в соответствии с законодательством (идентификационный номер 406232214);

1.2. **Страховщик** - лицо, заключающее со страховщиком договор кредитного страхования жизни;

1.3. **Объект страхования** - жизнь заемщика;

1.4. **Выгодоприобретатель** - лицо, которое в соответствии с настоящими условиями и требованиями действующего законодательства Грузии имеет право на получение страхового возмещения - АО «Мисо Грузинский Кредит» (идентификационный код: 206238800);

1.5. **Заемщик** - физическое лицо, которое имеет кредитный договор со страхователем и риск невозврата займа в связи со смертью и/или ограничение трудоспособности которого застрахован страхователем.

1.6. **Договор** - совокупность условий договора страхования и приложений к нему, а также страхового полиса, которая представляет собой единый договор страхования и который заключается между страховщиком и страхователем.

1.7. **Условия страхования** - условия, указанные в договоре страхования и приложениях к нему, определяющие условия страхового покрытия и правила ее осуществления;

1.8. **Страховое покрытие** - предусмотренные договором страхования случаи, при наступлении которых страховщик обязан выплатить страховое возмещение в соответствии с правилами и условиями, предусмотренными договором страхования;

1.9. **Заявление на страхование** - заявление, заполненное и подписанное уполномоченным представителем страхователя по форме, установленной страховщиком, которое содержит всю существенную информацию, необходимую для конкретных целей страхования имущества (при наличии такового).

